სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/248

ქ. თბილისი 31 10 2018 წ.

სტუ-ში 2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით ტესტირების ჩატარების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, ,,2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგის განსაზღვრისა და ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობის დადგენის თაობაზე'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 ოქტომბრის №371 ბრძანების, ,,2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის საგამოცდო ცენტრები და დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების საგამოცდო ცენტრებში განაწილების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 ოქტომბრის №373 ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2018 წლის შემოდგომაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა (იხ. დანართი);

2. სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისათვის ტესტირება ჩატარდეს 2018 წლის 1 ნოემბერს 12:00 საათიდან 13:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 77, სტუ-ის ტექნიკური გადამზადების ცენტრი);
3. ტესტირება ჩატარდეს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თამარ წერეთელს;
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი / ფ. არჩილ ფრანგიშვილი

დანართი

სტუ-ში 2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. ეკატერინე ნარეშელაშვილი - სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ კობერიძე - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (კომისიის წევრი);
3. თამუნა მახარაშვილი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი (კომისიის წევრი);
4. ხათუნა ამყოლაძე - ,,მექატრონიკის" პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი)